ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 13

15 აპრილი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:

რუსთაველის გამზირი №3.
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მეცამეტე სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია.

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ბატონი გ.ბასილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ბატონები: თ.ნადირაძე და ტ.ლილუაშვილი, საკრებულოს წევრები: დ.მხეიძე, მ.ჩიხლაძე, ბ.მახარაძე, მ.ნიჟარაძე, ჯ.ბიბილეიშვილი, მ.ჭოხონელიძე, მ.სიმონიძე, ბ.ხამაშურიძე, ბ.ქებულაძე, ზ.მამასახლისი, მ.რიჟამაძე, ა.კოპალეიშვილი, მ.კოსტავა, მ.გიორგაძე, კ.გურული, გრ.შუშანია, გ.კილაძე, ხ.არველაძე, კ.გაბუნია, ქ.ხურციძე, რ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი, ე.არჩაია.

სულ: 35 წევრიდან - 28 წევრი.

არ ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, გ.მანაგაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი და დ.ფხაკაძე (გარდაცვალების გამო).

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ი.ხახალეიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, ბატონები: დ.ერემეიშვილი და ი.უგულავა, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, ბატონი ი.ჟორჟოლიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნო განყოფილების უფროსი, ქალბატონი ც.პატარიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.სვინტრაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მოქალაქეთა მიღებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, ქალბატონი მ.ავალიანი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი ბ.გრძელიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი ქალბატონი თ.მელქაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი დ.ნიშნიანიძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი თ.ბერიშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი პეტრე ადამაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი მ.კუბლაშვილი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის

განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ა.ჩიხლაძე, მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საინფორმაციო საშუალებათა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ. მან მწუხარება გამოთქვა საკრებულოს წევრის, დარეჯან ფხაკაძის გარდაცვალების გამო.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საკრებულოს წევრის, დარეჯან ფხაკაძის ხსოვნას.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა ირაკლი შენგელიამ სხდომაზე გააკეთა **განმარტება:** „რიგგარეშე სხდომის მოწვევის აუცილებლობა განპირობებულია საბიუჯეტო ცვლილებებით, ეს მეორე ცვლილება გახლავთ ბიუჯეტში. საკითხი ეხება ორი ააიპ-ის - ბოტანიკური ბაღისა და ცენტრალური აუზის ფუნქციონირებისათვის ფინანსურ მხარდაჭერას. ამასთან, გათვალისწინებულია რიგი ცვლილებები ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. შესაბამისად, ამ ცვლილებებს ვუყრით კენჭს. მეორე საკითხი გახლავთ, გდგ-ს დამტკიცების საკითხი.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-13-ე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შესახებ“**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-13 ხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი დავით ნიშნიანიძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩის №31-სა და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი მამუკა კუბლაშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა
დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ბატონო ირაკლი, მე მაინტერესებს, რატომ აღმოჩნდა დღის წესრიგში მეორე საკითხი, ჩვენ ვიმსჯელეთ კომისიის სხდომაზე. ამაში დამეთანხმებიან კომისიის სხვა წევრებიც. შინაარსობრივად ეს საკითხი დასახვეწი იყო. ტექნიკური მიზეზები არ ყოფილა. ვთქვით, რომ მომავალ სხდომაზე განვიხილავდით. გოეთეს ინსტიტუტის გრანტთან დაკავშირებულ საკითხს მხარი დავუჭირეთ. მერია აპირებს 5 ათასი ლარის ათვისებას გრანტის ფარგლებში და მივმართავ ბატონ მერს. ბატონო სოსო, თქვენ თვლით თუ არა, რომ 5 ათას ლარად გაყიდეთ საქართველო და ხართ თუ არა გერმანიის აგენტი ამ გრანტის აღების შემდეგ? ის კანონპროექტი, რომელსაც თქვენ იღებთ და ცდილობთ დააპირისპიროთ საქართველოს მომავალი ევროკავშირთან, ჩვენი ბიჭების გამარჯვებით მოპოვებული სართო ზეიმი ჩააშხამეთ საზოგადოებას „USAED“-ის დოკუმენტი რომ წავიკითხეთ და რომ ვსაუბრობდით მერიის ზედამხედველობაზე, რა აზრი აქვს ამ საკითხზე მსჯელობას და გასვლას ან რატომ მოხვდა დღის წესრიგში ის საკითხი, რომელზეც ბევრი კითხვა გვქონდა კომისიის წევრებს, მათ შორის, უმრავლესობის წარმომადგენლებს, ასევე მე მაინტერესებს მოსაზრება გოეთეს ინსტიტუტის გრანტთან დაკავშირებით.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ბატონო გიგა, რაც შეეხება „გდგ"-ს საკითხს, ჩვე, კომისიის ფარგლებში ვიმსჯელეთ, რა საკითხიც არის შემოსული. საწინააღმდეგო არაფერი გვითქვამს, საკითხის ტექსტური ნაწილი არ ემთხვეოდა ზეპირად გამოთქმულ მოსაზრებას, ეს ნაწილი რომ ჩასწორებულიყო, ამაზე გვქონდა საუბარი. ჩასწორებული დოკუმენტი საქმისწარმოების პროგრამით შემოიტანა აღმასრულებელმა, რომელიც საკრებულოს ყველა წევრისათვის იქნა მიწოდებული."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ტექსტურ ნაწილზე თქვენ გქონდათ შენიშვნები. მე შინაარსობრივზე გამოვთქვი აზრი. 9 სართულიანი შენობა თუ 6 სართულიანი, ხომ უნდა შეთანხმებულიყავით. ეს დოკუმენტი ისეთ დროს შემოიტანეთ, სამუშაო დრო, რომ სრულდებოდა, 17:40 წუთზე. ვინ წაიკითხავდა ამ დოკუმენტს იმ დროს?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „აღმასრულებელმა განაცხადა, რომ ინფორმაციები იყო მოსაძიებელი. ეს მათი ფუნქციაა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „და კომისია არ უნდა შეკრებილიყო?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „შინაარსი ნახეთ. შინაარსი არ იცვლება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „საკითხი კენჭისყრაზე დააყენეთ? არ დაგიყენებიათ, სადაა კენჭისყრის ოქმი, სად ჩანს მე მხარი დავუჭირე, ან წინააღმდეგი ვარ, ან მომხრე, იმედია ოქმს არ გააყალბებთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ტექსტური შენიშვნა იყო და აღარ იყო საჭირო ამ საკითხის კომისიაზე განხილვა."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ბატონო გიგა, მე მესმის თქვენი დამოკიდებულება კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით, თუმცა , რეგლამენტი ამის საშუალებას გვაძლევს, რეგლამენტმა მისცა საშუალება საკრებულოს ბიუროს და შესაბამისად, წინასწარ მოხდა საკითხის დაზუსტება, მათ შორის ტექსტური ნაწილის. პირველ ეტაპზე, რა დოკუმენტაციაც შემოიტანეს, იყო არაზუსტი. დაზუსტდა ეს დოკუმენტაცია, თქვენც გქონდათ საშუალება, რომ ეს გეხილათ. ამის შემდეგ, ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება და დღის წესრიგში ჩასვა ეს საკითხი. ყველა კითხვა, რომელიც იყო ამ საკითხთან დაკავშირებით ამოწურულია, შეგიძლიათ ბრძანოთ, თუ გაქვთ რამე შენიშვნები. მე კიდევ ერთხელ ხაზს გავუსვამ, კომისიის დასკვნა, რომელიც გდგ-ს უკავშირდება, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი ქალაქის განაშენიანების დეტალურ დამუშავებას, ბატონო გიგა, არის სარეკომენდაციო ხასიათის. ბიურომ ჩათვალა მიზანშეწონილად საკითხი განეხილა საკრებულოს სხდომაზე. თქვენ შეგიძლიათ დასვათ ნებისმიერი შეკითხვა და ჩვენც და აღმასრულებელიც. მზად ვართ გიპასუხოთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ბატონი **დავით ბახტაძე:** „3 წუთი მინდა განცხადების გასაკეთებლად."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „თქვენი განცხადება დღის წესრიგს თუ არ ეხება, შეგიძლიათ საკითხების ამოწურვის შემდეგ გააკეთოთ, თუნდაც ნახევარი საათის მოცულობის."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ბატონი **დავით ბახტაძე:** „3 წუთს ვითხოვ. ვფიქრობ, ეს საკითხი თქვენ გინდათ მიჩქმალოთ, ისე როგორც პარლამენტში მიჩქმალეს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რა საკითხის მიჩქმალვას ვცდილობთ ბატონო დავით. მე თქვენ გითხარით,

რომ დღის წესრიგის ამოწურვის შემდეგ, შეგიძლიათ გააკეთოთ განცხადება. თუ დღის წესრიგთან დაკავშირებით გაქვთ შენიშვნა, მოსაზრება შეგიძლიათ ახლა ბრძანოთ, თუ პოლიტიკურ განცხადებას გეგმავთ, საკითხებს განვიხილავთ და შემდეგ გააკეთეთ განცხადება. სულ 2 საკითხია. რეგლამენტშიც ასეა აღნიშნული. საკითხების განხილვის შემდეგ შეგიძლიათ რამდენიც გინდათ, იმდენი ისაუბროთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **დავით ბახტაძე:** „ყოველთვის ცდილობთ აქტუალური საკითხები მიჩქმალოთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „და თქვენ თვლით, რომ ქუთაისის ბიუჯეტი არ არის აქტუალური?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **დავით ბახტაძე:** „ეს საკითხი არის სახელმწიფო მნიშვნელობის.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კი ბატონო, მაგრამ ვისაუბროთ საკითხების ამოწურვის შემდეგ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ საკრებულოს რიგგარეშე მე-13 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, გ.მანაგაძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, წინააღმდეგი: 2 წევრი: გრ.შუშანია, ბ.ქვაჩაკიძე, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 6-მა წევრმა: გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-13 სხდომის **დღის წესრიგი** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, **ირაკლი შენგელიას** მიერ ზემოთ წარმოდგენილი რედაქციით.

ამის შემდეგ, სხდომაზე გამოვიდნენ საკრებულოს წევრები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **დავით ბახტაძე:** „ბატონო ირაკლი, დღის წესრიგის საკითხების განხილვის შემდეგ მაძლევთ თუ არა უფლებას, რომ გავაკეთო განცხადება?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „კი ბატონო, ისაუბრეთ რამდენიც გინდათ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **თედო მესხი:** „უბრალოდ, რა არის იცით? საკითხების განხილვის შემდეგ, გაიქცევით დარბაზიდან.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „ვისგან გავიქცევით ბატონო თედო, თქვენგან? შენ გაგექცევით? მოქალაქეებს გავექცევით? ასეთი რამ არასოდეს გვიკადრებია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ბატონო ირაკლი, ვუპასუხოთ რა! კი- ევროპას და არა - რუსულ კანონს! ვეთანხმებით, მაგრამ მაინტერესებს ერთი რამ, ესენი რომ გვიწოდებენ დღეს რუსეთის აგენტებს, ეს უნამუსო, უსირცხვილო ხალხი, მიწების 20% რომ გაყიდეს, აი, ესენი გველაპარაკებიან ეროვნულობაზე.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **დავით ბახტაძე:** „საკრებულოს წევრი, უშვერი, ორღობის სიტყვებით ილანძღებით. ხომ შეიძლება საკრებულოს სხდომაზე ორღობის ლექსიკა მორჩეს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ევროკავშირის დასკვნა გინდათ, ვინ არის რუსეთის აგენტი კარგად ჩანს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „მოღალატე ხართ ჩვეულებრივი. თქვენ და თქვენი პარტია: კეზერაშვილი, მელია, ყველანი.“

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის პირველი საკითხის - **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **დადგენილების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელმა, ბატონმა **დავით ნიშნიანიძემ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **იოსებ ხახალეიშვილი:** „მოგესალმებით ყველას, საკრებულოს წარმომადგენლებს, დამსწრე საზოგადოებას, მედიას. რამდენიმე დღის უკან, ბატონმა გიგა შუშანიამ გააკეთა განცხადება, რომ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებით, ჩვენ, ხელფასების გაზრდას ვაპირებდით, რაც მინდა გითხრათ, რომ არის მტკნარი სიცრუე. ჩვენ მივეცით განმარტება მასმედიას და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აღნიშნული თანხა გამოყენებული იქნება ჩვენი თანამშრომლების დაზღვევისათვის. არ ეხება ხელფასების გაზრდას და ასახავს ჩვენი თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისის გაუმჯობესებას. ეს განცხადება არ არის კომპეტენტური და არ შეესაბამება რეალობას.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ბატონო სოსო, კომპეტენციას რაც შეეხება. მერობა არ არის თქვენი საქმე და ახლა გეტყვით, რატომ. შრომის ანაზღაურების მუხლში წერთ - 70 ათას ლარს, ანუ რა გამოდის, იანვრიდან დაიწყეთ ხარჯით გადახდა და ამ თქვენს განცხადებაში წერთ აპრილის ბოლოდან იქნება საშემოსავლო გადასახადი, ხარჯი როდესაც იანვრიდანაა, ანუ სისხლის სამართლის დანაშაულია.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე** (პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება“) „რას ამბობთ ბატონო გიგა, ბიუჯეტის დაკავშირებით მუშაობენ კომპეტენტური ადამიანები.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „განმარტებით ბარათში წერია რასაც თქვენ საუბრობთ? იმიტომ არსებობს განმარტებითი ბარათი, რასაც თქვენ საუბრობთ, აქ ჩამოწეროთ. ეს არის - ხარჯი, ეს არის - ნაშთი. რაღაც გაურკვეველ სიტყვებს, რომ წერთ. თქვენ, ბატონო სოსო, 6 ათასი ლარი გაქვთ ხელფასი. ალბათ, ძირითად ნაწილს - საკვებში, კომუნალურებში ხარჯავთ. რა ვთქვათ ჩვენ, სოსო ხახალეიშვილს ჭამა - სმის ვაუჩერს ვაძლევთ თქო? თქვენ არაკომპეტენტურიც ხართ და მატყუარაც, გვერდით კვალიფიციური ადამიანები სხედან და იმათ მაინც კითხეთ.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, გ.მანაგაძე, ბ.ქვაჩაკიძე, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 20 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 7-მა წევრმა: გრ.შუშანიამ, გ.კილაძემ, ხ.არველაძემ, კ.გაბუნიამ, ქ.ხურციძემ, დ.ბახტაძემ, თ.მესხმა), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს **დადგენილება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის, **დავით ნიშნიანიძის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის № 79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **დადგენილება №95** ოქმს თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგის მე-2 საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩის №31-სა და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე **განკარგულების** პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **გრიგოლ შუშანია:** „ ეს საკითხი ფორმალურ ხასიათს ატარებს. უკვე გადაწყვეტილია, იმიტომ, რომ ასე დაჩქარებულად გამოგაქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვა პროექტების ნაცვლად არ შემოიტანდით. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობის აზრს ვერ ვხედავ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: არა რუსულ კანონს!“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25-მა წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: თ.ჯუღელი, გრ.შუშანია, ხ.არველაძე, გ.მანაგაძე, კ.გაბუნია, ლ.შალამბერიძე, ნ.ბიბილეიშვილი, ა.კოხრეიძე, ნ.ჩიკვაშვილი.

ღია კენჭისყრით (მომხრე: 18 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო: 2-მა წევრმა: კ.გურულმა, ე.არჩაიამ, წინააღმდეგი: 5 წევრი: გ.კილაძე, ქ.ხურციძე, ბ.ქვაჩაკიძე, დ.ბახტაძე, თ.მესხი), **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

ღია კენჭისყრით, ერთხმად, **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს **განკარგულება** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის, **მამუკა კუბლაშვილის** მიერ წარმოდგენილი რედაქციით.

(„ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩის №31-სა და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებზე, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ **განკარგულება № 275** ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, საკრებულოს სხდომაზე **განცხადება** გააკეთა საკრებულოს წევრმა (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონმა **დავით ბახტაძემ:** „პირდაპირ მინდა ვთქვა ჟურნალისტებისა და ქართველი ხალხის გასაგონად, ნაკლებად „ქართული ოცნების“. ამ დღეების განმავლობაში, როდესაც რეინფიცირება მოხდა კანონის, მნიშვნელობა აქვს შინაარსს. ესე იგი, ამდენი დღის განმავლობაში ტყუის ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, ტყუის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპარლამენტი, ტყუის შოლცი, ტყუის გაერო, რომელიც ყოველთვის ერიდება მკვეთრი განცხადებების გაკეთებას, გაერომაც კი ამოიღო ხმა, რომ ეს კანონი საქართველოს შეუქმნის საფრთხეს ევროპულ გზაზე მსვლელობისას.“

ზემოაღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით სხდომაზე გამოვიდნენ საკრებულოს წევრები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „კანონიდან დავიწყოთ საუბარი. ხალხის მოტყუებას არ გაცლით, ხომ გიჭირავთ კანონი ხელში, წაიკითხეთ მუხლები? მუხლობრივად გავყვეთ, არგუმენტი მითხარი, მუხლები მითხარით, რომელია რუსული? არ მოგცემთ იმის უფლებას, რომ კიდევ ერთხელ მოატყუოთ ხალხი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“), ბატონი **თედო მესხი:** „არა რუსულ კანონს.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ირაკლი შენგელია: „რომელია რუსული, რომ იძახით, არა რუსულ კანონსო.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხ ნიჟარაძე:** „ტყუილებს დაანებეთ თავი.“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა ირაკლი შენგელიამ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-13 სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დამთავრებისა და მათთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების დასრულების გამო, საკრებულოს რიგგარეშე მე-13 სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე მე-13 სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

Irakli Shengelia

Digitally signed by Irakli Shengelia
DN: cn=Irakli Shengelia, serialNumber=PNOGE-60001013166, givenName=Irakli, sn=Shengelia, o=Citizen, c=GE
Date: 2024.06.18 12:44:22 +04'00'

ირაკლი შენგელია

ოქმი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი
სტრუქტურული ერთეულის - სამდივნო განყოფილების
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, თ.ნიქაბაძისა
და ამ განყოფილების უფროსის, ც.პატარიძის მიერ.